ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2413 ოთხშაბათი, 18 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2413

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში კანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.
ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
ოთხშაბათს, 18 თებერვალს წარმოდგენილი იქნება
ფ ა უ ს ტ ი
ოპერა 5 მოქმ. მუს. გუნოსი.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ბობროვა-ზოვეიფერი, სტეფანოვიჩი, დელინა; ბ-ნნი: კარჟევინი, კამიონსკი, ბუსტოიაროვი, გავრილოვი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.
ანონსი: 19 თებ.—„გუგენოტები"; 20 თებ.—„დემონი". (0—5)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
პერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ლ. ივ. ქამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.
ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.
ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.
გ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.
რ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.
მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.
ქ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
მ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპეიდა. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274

ქ უ თ ა ი ს შ ი
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი
ვ. დ. ღამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი№ 46.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოთ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—19)

ქ უ თ ა ი ს შ ი
კბილის ექიმი
მ. ი. ბ ე გ ი შ ვ ი ლ ი ს ა
იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

ქ უ თ ა ი ს შ ი
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—54)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 თებერვალი

სუეცი. („რეიტ. სააგ."). სარწმუნო წყაროდან იტყობინებიან, რუსეთის სამხედრო გემებმა სუეცის სრუტეში დაატყვევეს ორი ინგლისური და ერთი ნორვეგიული გემი, რომელთაც ქვა-ნახშირი მიჰქონდათ.

ვაშინგტონი („რეიტ. სააგ."). დალნში ამერიკის სავაჭრო კონსულად დანიშნულს მორგანს ჯერ ებრძანა დაუყოვნებლივ წასულიყო იქ, მაგრამ შემდეგ ეს განკარგულება გაუქმებულ იქმნა. მორგანი მოუცდის სხვა განკარგულებას, რადგან ამერიკას განზრახვა არა აქვს უთუოდ დაამტკიცებინოს რუსეთის მთავრობას ახალი კონსული.

რომი. რუსეთისა, იაპონიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობათა შეთანხმების თანახმად, ის რუსი აფიცრები და მეზღვაურები, რომელნიც ჩემულპოსთან ბრძოლის შემდეგ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის გემებმა მიიღეს, გაიგზავნებიან რუსეთში იმ პირობით-კი, რომ რუსეთი ვალდებულია, ეს აფიცრები და მეზღვაურები აღარ გაჰგზავნოს ახლანდელს ომში.

მოსკოვი. შორეულს-აღმოსავლეთში გაიგზავნა ერთი დიდი სასანიტარო რაზმი.

ლუკი. ველიკოლუკის მცხოვრებლებმა ხატებით დაულოცეს გზა და გააცილეს მანჯურიაში სარდლად დანიშნული ა. ნ. კუროპატკინი.—შესდგა კომიტეტი ფლოტის გაძლიერებისათვის ფულის შესაგროვებლად.

ვენა. 16 თებერვალს, ათასამდე ჩეხელი, რომელნიც ჩეხთა პოეტის კოლლარის სასაფლაოდან დაბრუნდნენ, რუსეთის საელჩოს წინ გაჩერდნენ, ქუდები მოიხადეს და „ურა" იყვირეს; შემდეგ იმღერეს „ჰეი სლავიანე" და „ბოჟე ცარია ხრანი". სასახლეში დეპუტაცია შეჰგზავნეს, რათა რუსეთის ელჩისათვის ავსტრიის სლავიანთა თანაგრძნობა გამოეცხადებინათ. გრაფმა კაპნისტმა უპასუხა, რომ ავსტრიის სლავიანთა სიმპატია რუსეთის ერისადმი ყოველთვის სასიამოვნო იყო მისთვის, ხოლო ამ სერიოზულ მომენტში ეს თანაგრძნობა უფრო მეტად სასიამოვნოა; გრაფმა რუსეთისა და რუსის ერის სახელით მადლობა გადაუხადა ჩეხებს. როდესაც დეპუტაციამ ელჩის სიტყვები გადასცა მანიფესტანტებს, ამათ კვლავ იყვირეს „ურა" რუსის ერის სადიდებლად.

ჩიფუ (რეიტ. სააგენტო). აქ ხმა დადის, რომ ორი სამხედრო გემი იაპონიისა სასებოში წავიდა შესაკეთებლადაო.

ჩემულპო (რეიტ. სააგენტო). უკანასკნელ დღეებში იაპონელებმა გადმოიყვანეს ნაპირზე 20.000 ჯარის კაცი ექვსის ბატარეით.

ლიაოიანი (საგანგებო) შუადღის. მეორე საათის ოც წამზე ცნობა მოვიდა, რომ რუსის მოწინავე ცხენოსანი რაზმი კორეის შუაგულისაკენ წავიდა 200 ვერსის მანძილზე და შეხვდა იაპონელების მოწინავე რაზმს, რომელიც პენიანიდან იყო გამოსული. იაპონელები დამარცხდნენ. გენერალ ლინევიჩმა ქვეითა ჯარის კორპუსი გაჰგზავნა ცხენოსან ჯარის გასაძლიერებლად და ჩრდილოეთ კორეიაში ფეხის მოსამაგრებლად.

მუკდენი (საგანგებო). მას შემდეგ, რაც მტერმა 12-სა და 13 თებერვალს პორტ-არტურზე იერიშის მიტანა სცადა, მეტი არა გამოუწვევია-რა. 27 იანვრის ბრძოლამ უეჭველად აიძულა იგი უფრო ფრთხილად მოქცეულიყო. თუმცა ოფიციალურად არ არის ცნობილი, თუ რა ზარალი მოუვიდა მტერს, მაგრამ უეჭველად ეს ზარალი შესამჩნევია. ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ იაპონელები დაბრმავებულნი იყვნენ იმ აზრით, რომ პორტ-არტურს ისევე ადვილად აიღებენ, როგორც 10 წლის წინად ჩინელებთან ომიანობის დროს. ამ მიზნის ვერ მიღწევამ იაპონია ცუდ გუნებაზე დააყენა, რადგან იქ, ალბად, ადვილ გამარჯვებას ელოდნენ. ჯარი მხნედ არის; იგი დამშვიდებული ელის მომავალს და მთელ რუსეთთან ერთად დარწმუნებულია თავის უძლეველობას.

პეტერბურგი. ამერიკის სატელეგრაფო სააგენტოს „ასოსიეტედ პრეს"-ის აქაურმა წარმომადგენელმა ვაშინგტონიდან მიიღო დეპეშა, სადაც **ნათქვამია,** რომ ამერიკის საზღვაო სამინისტრომ შეატყობინა ზემოხსენებულ სააგენტოს შემდეგი განცხადება ამერიკის საკანონერო გემის „ვიკსბურგ"-ის უფროსისა, რომელსაც ჩემულპოში რუს მეზღვაურებისთვის ვითომ დახმარება არ აღმოუჩენია: „ყველაზე უწინ „ვარიაგ"-ს მე გავუწიე საექიმო დახმარება; როცა გავიგე, რომ მეზღვაურები „ვარიაგ"-ს თავს ანებებენ, სამი ნავი გავუგზავნე, რათა რუს მეზღვაურებისთვის ინგლისისა და იტალიის გემებზე გადასვლა ეშველათ. მეზღვაურების წასვლის შემდეგ „ვარიაგ"-ი ხუთი საათი იდგა წყალზე". ამ საქმის სრულ გამორკვევისთვის უნდა დავუმატოთ, რომ, რადგან „ვიკსბურგ"-ი პატარა გემია, ამიტომ ამ გემის უფროსი ვერ მიიღებდა რუს მეზღვაურებს, რომელნიც გადაარჩინა და ინგლისისა და იტალიის გემებზე გაჰგზავნა. რაც შეეხება იმას, რომ „ვიკსბურგ"-ის უფროსი საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის გემე-

---

ფელეტონი

ი ა პ ო ნ ი ა

IV*)

სარწმუნოება იაპონელებისა.

სარწმუნოებას, როგორც გარკვეულს ზნეობრივს მოძღვრებასა და საღმრთო რწმენას, ქვეყნიურ შეხედულებათა განმწმედელს, ეჭვი არ არის, ყველა ხალხის განათლება-ცხოვრებაზე უთუოდ დიდი გავლენა აქვს. ურიგო არ იქნება ამისათვის, ვიცოდეთ, „ამომავალი მზის ქვეყნის" შვილებს რაგვარი სარწმუნოებრივი შეხედულება აქვთ და თვითონ ხალხიც რამდენად მორწმუნეა.

უძველეს დროს, როცა ჯერ ისევ სარწმუნოებრივი კულტი განვითარებული არა ჰქონიათ, დიდის ხალისით თურმე თაყვანსა სცემდნენ ყოველს სულდგმულსა და ცხოველს, თაყვანსა სცემდნენ ხეებს, გველებსა და სხვა. სხვა-და-სხვა გვარი ცრუ-მორწმუნოება და მითოლოგიური თქმულება ხომ ღმრთით გზის მაჩვენებლადა ჰქონიათ მიღებული. ამ რიგად იაპონელების წარმოდგენით შემოქმედსა და ქმნილებას შუა, ღმერთსა და კაცს შორის თითქმის რომ გარჩევა არა ყოფილა. ამითი უნდა აიხსნას უთუოდ იაპონელების წარმოდგენა მიკადოების ვინაობის შესახებ: რომ მათნი თავდაპირველნი წინაპარნი მზის ღმერთა ამატერეზას ჩამომავალნი არიან.

თავდაპირველმა ნაწყვეტ-ნაწყვეტმა სარწმუნოებრივმა თქმულებებმა ნელ-ნელა თავი მოიყარეს და წარმოსდგა ბოლოს გარკვეული სარწმუნოებრივი მოძღვრება, რომელსაც იაპონელები **შინტოს** უწოდებენ. მაგრამ მარტოდ ამითი არ დაკმაყოფილდნენ და ადგილი დაუთმეს აგრეთვე ბუდდას მოძღვრებას. უმთავრეს სარწმუნოებად ამ რიგად დღეს შინტოს და ბუდდას მოძღვრება ითვლება, რომლებმაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთად ყოფნა არ იუარეს, ერთმანეთს შეერივნენ და დაჰკარგეს თავისი პირვანდელი სიწმინდე. მაშასადამე, უფრო მართალი იქმნება, თუ რომ იაპონელების დღევანდელ სარწმუნოებათ კონფუცის სწავლით შეზავებულს შინტოსი და ბუდდას შერეულს მოძღვრებას ვაღიარებთ, რომელთაგანაც შინტოს მოძღვრება მომეტებულად თეოლოგიურია, ბუდდასი—წესებრივი.

მაინც უძველესი იაპონელთა სარწმუნოება შინტოს მოძღვრებაა, ადგილობრივვე წარმომდგარი, რომელიც შეიძლება ქართულად „ღმერთთა გზათ" (შინ-ტო) ითარგმნოს, ისრევე, როგორც ბუდდა ჰნიშნავს „ბუდდათა გზას" (ბუთსუ-დო). თვითონ სახელი შინტო მეექვსე საუკუნეში წარმომდგარა, რომ ახლად შემოსულ ბუდდას მოძღვრებისაგან გაერჩიათ. შინტო ბუნების ძალთა და წინაპართა სულს აღმერთებს და 800 ათასამდე სხვა-და-სხვა ღმერთს ასახელებს, რომელთაგან ზოგი მდინარეთა ღმერთია, ზოგი ტბებისა, სხვანი ქარებისა, მთებისა და სხვ. ყველა მათგანი მომაკვდავ ადამიანის სუსტს მხარეს მოკლებული არ არის და განირჩევიან მხოლოდ იმითი, რომ უკვდავებათა ჰყავთ წარმოდგენილნი.

მათ შორის პირველი ადგილი მზის ღმერთა ამატერეზასა აქვს დათმობილი, რომელსაც (იზეშია) უანგარიშოდ მრავალი მლოცავი ჰყავს. ამიტომაც იაპონიის მექად უწოდებენ იზას. დიდებულს სანახაობას წარმოადგენს განსაკუთრებითი ჩვეულება მზის თაყვანისცემისა, რომელსაც წელიწადში ერთხელ დღესასწაულობენ იაპონელები ფუზიანის მთაზე ზაფხულობით. მთლად თეთრებში ჩაცმული ურიცხვი მლოცავი მაშხალებით მიდის ღამევე ზემოდ აღნიშნულ ცეცხლით მსუნთქავ ფუზიამის მწვერვალზე და განთიადის დიდებულს წამსა და მზის ამოსვლას აქ უცდიან. მთის მწვერვალი, დღის მნათობის სიცოცხლით სავსე ელვარება და სითბო, მასთან სარწმუნოებრივი აღფრთოვანება მლოცავთა მართლაც რომ რაღაც წარმტაცი, ზესთა-მგრძნობარე და დიდებული სანახავია.

როგორც სარწმუნოებრივი სისტემა, შინტოს მოძღვრება უმთავრესად ღმერთთა და გმირთა შესახებ შედგენილ ლეგენდებისაგან წარმოსდგება, წინაპართა სულს სცემენ თაყვანს. როგორც საზოგადოდ, იაპონელების მითებიც სიტყვიერად ინახებოდა შთამომავლობათა შორის და მამიდან შვილსა, შვილიდან შვილი შვილზე გადაცემის დროს სხვა-და-სხვა რიგად იცვლებოდა, მახინჯდებოდა. როგორც ბევინი და დუგლასი მოუთხრობენ თავისს შრომაში აღმოსავლეთის დიდებულ სარწმუნოებათა შესახებ, ქრისტეს შემდგომ მე-VI საუკუნეში მცხოვრები მიკადო ტემმა საშინლად თურმე სწუხდა მათს ასრე დამახინჯებასა და განიზრახა იღედგინა როგორმე. მოიწვია თურმე ყველა მხრიდან ცნობილი ლეგენდებისა და აქმულობათა მცოდნენი, ყველა თქმულობა ერთმანეთს შეადარა, უარ ჰყო, რომელიც მათგანი დამახინჯებულათა და შემკადრათ მიიჩნია და თავისს მახლობელს, შესანიშნავ მეხსიერების პატრონს არეს თურმე უბრძანა, ყველა ეს თქმულებანი და ლეკენდები ზეპირად დაესწავლა. ტემმას საქმე შემდგომ მისმა მოადგილემ იმპერატრიცა ჯემიამ დაასრულა, არეს სიტყვით ნაამბობი ლეგენდები მთლად ჩააწერინა. ეს იყო 712 წელს. ლეგენდების კრებულს სახელად „კოჯიკი" ეწოდა, რომელიც იაპონელებისათვის იგივეა, რაც ჩვენთვის დაბადება. შინტოს მეორე საღმრთო წიგნად „მანიოშუ" ითვლება, რომელშიაც

---

*) დ. სერბსკიდან. „თანამედროვე იაპონია". იხ. „ცნ. ფურც." № 2408.

ბის უფროსებს არ შეუერთდა და მათთან ერთად პროტესტი არ გამოაცხადა, ოფიციალურად გამორკვეულია, რომ ამერიკის საზღვაო კანონების თანახმად, ამერიკის ფლოტის აფიცერს ნება არა აქვს ვაშინგტონიდან ინსტრუქციის მიუღებლად მონაწილეობა მიიღოს დიპლომატიურსა ან პოლიტიკურს საქმეებში. ამ შემთხვევაში გემ „ვიკსბურგ“-ის უფროსის უარი იმით აიხსნება, რომ იმ დროს ვაშინგტონის მთავრობასთან შეკითხვა შეუძლებელი იყო.

შანჰაი. („რეიტ. სააგ.“) ხუთშაბათს შემდეგ ბოდინფუდან წავიდა ოთხი მატარებელი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვართან ჯარის წასაყვანად. უკანასკნელი რაზმი 16 თებერვალს წავა. სულ გაგზავნილია 10,000 კაცი.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

16 თებერვალი

ლონდონი. „ტაიმს“-ი იტყობინება, რომ ყაზახებმა, ანჩეუს მახლობლად, 200 კორეიელი გარეკეს, იარაღი წაართვეს და 30 მათგანი ტყვედ წაიყვანესო.

მდინარე იალუს მარჯვენა ნაპირზე, როგორც ამბობენ, სდგას ოთხი ქვეითა პოლკი, ერთი ცხენოსანი პოლკი და ერთი საარტილერიო ბატარეია. სხვა ბატარეიები, რომელნიც ამ ჯარს უნდა შეუერთდნენ, ცუდმა გზებმა შეაჩერეს.

კორეის იმპერატორმა შესწირა 10.000 გირვ. სტერლინგი, მემკვიდრემ 5.000 და ერთმა პრინცმა 2.000 თავიანთ ჯარის-კაცთა დასახმარებლად.——შეტაკებას მოელიან ფხიონიანის მიდამოებში.

იაპონიის საელჩომ ლონდონში შემდეგი დეპეშა მიიღო ტოკიოდან: 15 თებერვალს დილის 9 საათზე რუსეთის ცხენოსანი ჯარი ფხიონიანიდან ჩრდილოეთით 700 მეტრის მანძილზე გამოჩნდა. წინ მიეგება იაპონიის ქვეითა ჯარი და თოფები დაუშინა, რის შემდეგაც მტერმა უკან დაიწია.

ნიუ-იორკი. ამერიკის გემის „ვიკსბურგ“-ის უფროსი ირწმუნება, როცა გავიგე, რომ „ვარიაგ“-ის მეზღვაურთ გემის დატოვება უნდოდათ, წინადადება მივეცი, დახმარებას აღმოგიჩენთ მეთქი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 თებერვალი

პეტერბურგი. პატრიოტულ შემოწირულებების შესახებ იუწყებიან: შემოსწირეს კისლოვოდსკის კრებამ 25.000 მ., არზამასის ქალაქის საბჭომ 200 მან., ვაჭრების საზოგადოებამ 700 მან., მინსკის საურთიერთო კრედიტის მეორე საზოგადოებამ დივიდენდის 2 პროცენტი, მოქალაქეთა გამგეობამ 300 მან., ჩერეპოვცის საბჭომ 1000 მან., მოსკოვის სათავად-აზნაურო კლუბმა 100,000 მან., ფლოტისთვის 25.000 მან., გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინს საავადმყოფოებისთვის 25,000 მან., მოკლულ ჯარის-კაცთა ოჯახების სასარგებლოდ რუსეთის დამზღვევ საზოგადოებამ 25.000 მან., სუმის საბჭომ 10.000 მან., ლიბავის საბჭომ 15.000 მან., ძმათა შაპოშნიკოვებმა ნოვოჩერკასკში 10.000 მან., შაპოშნიკოვების დაწესებულებების მსახურებმა ჯამაგირის 1°/o, სიმბირსკის საზოგადო საკრებულომ 1000 მან., ბერდიანსკის მაზრის გნადენფელდის სასოფლო კრებამ დაადგინა ყველა მემამულეს თითო დესეტინიდან 50 კაპ. გავაწეროთო. საკრებულომ გუბერნატორს უკვე 26945 მან. გადასცა; ელაბუგის საბჭომ 2000 მან., ხელის მოწერით 5175 მან., გდოვის საერობო კრებამ 5000 მან., მოსკოვის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებამ გადასწყვიტა, გადიდებულ ნახევარ მილიონიდან გადავცეთ ფლოტისთვის 250,000 მან., გენერ. ადიუტ. კუროპატკინს საჯარო საავადმყოფოსთვის 50.000 მან., დანარჩენი სასანიტარო რაზმისა და ჯარისთვის თბილი საცმელის სასყიდლად დადავდოთო. ფლოტის გასაძლიერებლად პრიამურის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მოხელეებმა ჯამაგირის 2 პროცენტი, ამურისა და პრიმორსკის ოლქების სააქციზო მმართველობის მოხელეებმა ჯამაგირის 2 პროც. წითელი ჯვრისთვის, ვერხნეუდინის ებრაელთა საზოგადოებამ 500 მან. დაჭრილ-დახოცილ ჯარის კაცთა ოჯახებისთვის, ჩიტინის ებრაელთა საზოგადოებამ ფლოტისათვის შეაგროვა 1887 მან. და სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებისთვის 950 მანეთი და დაჭრილთათვის 950 მან.

ბრესტი. კრეისერი „დასას“-ი და ოთხი ნაღმიან ნავების გამანადგურებელი შორეულ-აღმოსავლეთში წავიდნენ.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). ლორდთა პალატა. სტატს სეკრეტრის თანაშემწემ პერსიმ შეკითხვაზე სთქვა, შან-ჰაი-გუანის სიმაგრეების ერთი ნაწილი, რომელიც მას შემდეგ, რაც მათ რუსებმა თავი დაანებეს, ფრანგებს ეჭირათ, ეხლა ხელმეორედ დაიჭირა რუსეთის რაზმმა, რომელიც ტიან-ძინიდან მოვიდა.

მოსკოვი. სხვა-და-სხვა გუბერნიების თავად აზნაურთა წარმომადგენლების საზოგადო კრებამ გდაასწყვიტა, დავაარსოთ შემოწირულებებისთვის მოსკოვში საზოგადო კასა და მთავარი გამგე კომიტეტი, რომელიც შესდგება იმ გუბერნიების თავათ-აზნაურთა წარმომადგენლებისგან, რომელთაც შემოწირულებაში მონაწილეობა მიიღეს. კომიტეტის თავმჯდომარე მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი იქნება.

ვლადივოსტოკი. ცნობა, ვითომ იაპონელები პოსიეტში გადმოსხდნენ, მოგონილია.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

17 თებერვალი

ლონდონი. გაზეთები დაწვრილებით ცნობებს იუწყებიან გუშინდელ ბრძოლის შესახებ პორტ-არტურში. „დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ: „16 თებერვალს, დილის 10 საათზე იაპონელების 15 საომარი გემი პორტ-არტურის წინ გამოჩნდა და ზარბაზნების საშინელი სროლა ასტეხა. ბრძოლამ 2 საათს გასტანა. კრეისერები „ნოვიკ“-ი, „ასკოლდ“-ი და „ბაიან“-ი ოთხი ნაღმიან გემით ზღვაში გავიდნენ და მტერზე იერიში მიიტანეს; ერთი ნაღმიანი გემი დაზიანდა. იერიშის შემდეგ იაპონიის ფლოტმა უკან დაიწია და, „მორნინგ პოსტ“-ის სიტყვით, დაკარგა ერთი ჯავშნიანი გემი, რომელიც ჩაიძირა. როგორც სჩანს, ამ შემთხვევასთან კავშირი აქვს „სტანდარტ“-ის ცნობა ჩიფუდან, რომელიც ამბობს: დღეს ღამის პირველ საათზე იაპონიის კრეისერი ნაღმიან გემებით უფანრებოთ ნავთ-სადგურში შემოვიდა და დაღუპულ გემიდან გადარჩენილი მეზღვაურები ჩიფუდან გათენებამდის წაიყვანაო.

ნიუ-იორკი. გუშინ მოხდა იაპონიისა და ინგლისის წინაამდეგ მიტინგი, რომელიც ირლანდიის საზოგადოებამ „ცლანაგაელ“-მა შეჰკრიბა. ორატორებმა გაჰკიცხეს პრეზიდენტი რუზველტი და სტატს სეკრეტარი ვეი ინგლისის წინაშე თავის დამცირებისთვის; გაჰკიცხეს აგრეთვე ამერიკის პრესა რუსეთისადმი არა კეთილ სინიდისიერ მოპყრობისათვის. კრებამ რუსეთისა და ირლანდიის ბაირაღები ააფრიალა.—ოტავიდან იტყობინებიან, მთავრობამ კანადა-დიდი ოკეანეს რკინის გზის საზოგადოებასთან პირობა დასდო, რომლის ძალით რკინის გზის საზოგადოება მოვალეა, თუ საჭიროება მოითხოვს, ჯარი აღმოსავლეთიდან დასავლეთს უნდა გადაიყვანოსო.

ლონდონი. „დეილი-მეილ“-ს ტოკიოდან ატყობინებენ, ადმირალ ტოგოს მოხსენებაში ნათქვამია, 2000 კაცმა თავის ნებით განაცხადა თანხმობა პორტ-არტურის ალყის შემორტყმაში მონაწილეობა მიიღოს. ზოგიერთებმა თანხმობის ქაღალდზე საკუთარის სისხლით მოაწერეს ხელი. შანჰაიდან იტყობინებიან, საკანონერო გემი „მანჯურ“-ი წინანდელ მდგომარეობაში იმყოფებაო.—„დეილი-მეილ“-ს ინკოუდან დეპეშით ატყობინებენ, აქ ახალი ჯარი მოდისო. ლიაოხოეს შესავალი ნაღმებით არის შეკრული. ინკოუში წვიმა მოდის და ყინული დნება. ვეი-ჰაი-ვეიდან იტყობინებიან, ორშაბათს დილით იაპონიის ფლოტი შანტუნის წყლებში უნახავთო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „გრაჟდანინ“-ი იუწყება, ნამესტნიკმა ადმირალ ალექსეევმა თავისი ბინა მუკდენს გადაიტანაო.

„რუს“-ი იუწყება: მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი პეტერბურგიდან ბრძოლის ველზე დიდ-მარხვის მესამე კვირას წავაო.

„ტაიმს“-ი იუწყება: რუსის ჯარი კორეის ჩრდილოეთით ამნაირად დგასო. ამ ჯარის უმთავრესი რაზმები პოსიეტის ნავთ-სადგურთანა დგას, მოწინავე რაზმები კი შორს სამხრეთისაკენაა წასული. ეხლა ამ ჯარის მოწინავე რაზმები აღმოსავლეთ-კორეაში, მდინარე სიონ-ჩიონის შესართავამდე ჩავიდნენ და ხამ-ხინში დადგნენ. ამ რაზმებმა სიონ-ჩიონსა და გენზიანს შუა მავთული გაწყვიტეს. ამას გარდა, რუსის ჯარი მდინარე იალუს ჩრდილოეთითაც სდგას. ეს ჯარი ანჩეუსაკენ წასვლას აპირებს. 1200 რუსმა მიატანა კიდევაც ანჩეუანს. იაპონელები მნიშვნელობას არ აძლევენ რუსის ჯარის მოძრაობას, რადგან იმათის აზრით, რუსები ფხიონ-იანის აღებას ვერ მოახერხებენ. („ნ. ვ.“).

ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: „ტაიმს“-მა ბრძოლის ველზე საკუთარი გემი გაჰგზავნა. ეს გემი 6 თებერვალს ჩემულპოში მისულა და მერე ისევ ვეი-ჰაი-ვეიში დაბრუნებულა. ვეი-ჰაი-ვეიდან დეპეშა მოუვიდა „ტაიმს“-ს: იაპონელებს 3 დივიზია ჯარი გადაჰყავთ ჩემულპოში და რკინის გზით სეულისაკენ ჰგზავნიან. სეულიდან კიდევ პინიანისაკენ მიდიან. მოზამპოში გადასული დივიზიებიც პინიანს მიდიან. რამწამს სინამპოს ნავთ-სადგურთან ყინული გადნება, იაპონელები ამ ნავთ-სადგურში დაიწყებენ ჯარის გადაყვანას. საკმაო ჯარს გადაიყვანენ თუ არა, იაპონელები ხმელეთზეც ისე მედგრადა და ფიცხად მოიქცევიან, როგორც ზღვაში მოიქცნენ.

იაპონელებს მეტად უხარიანთ, რომ იმათ ჯარის გადაყვანას ხელი ვერავინ შეუშალა. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი ირწმუნება: ინგლისელი აფიცრები ამბობენ, იაპონელებმა ისე კარგადა და წესიერად გადაიყვანეს ჯარი ხმელეთზე დ საზოგადოთ სამხედრო მოქმედებას ისე კარგად უძღვებიან, რომ სჩანს იაპონიას უფრო კარგი, სრული სამხედრო წესები ჰქონია, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებსაო. აფიცრები ამბობენ, იაპონელები მეტად კარგად ექცევიან კორეიელებს და ყველაფერში ნაღდ ფულს აძლევენ“.

იაპონიის მცოდნე ჯონ ნორმანი „დეილი ნიუს“-ში სწერს: ჩემის აზრით, იაპონელები ჩინეთის სამფლობელოს ნეიტრალიტეტსაც არ დაჰხედვენ და ამ მოკლე ხანში ჯარს ან ცინვანდაოსა, ან შანჰაი-გუანს ახლო გადაიყვანენო. ნორმანის წინასწარმეტყველება ჯერ არ გაცრუვებულა. ჰფიქრობენ, ეს წინასწარმეტყველებაც უსათუოდ ასრულდება, თუ არ ასრულებულა კიდევაცაო. („ნ. ვ.“).

შანჰაიდან იუწყებიან: რუსეთისა და ჩინეთის შუა დადებულ პირობის ძალით რუსის

სახალხო ეპოსის ნაწარმოები 1000 სხვა-და-სხვა პოემაა შეკრებილი. მესამე წიგნი „ნორიტოა“, სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივ წესების მაჩვენებელი. „კოჟიკი“-ში აღწერილია მოძღვრება შეგინებისა და განწმენდის შესახებ. „კოჟიკის“ სიტყვით, ადამიანს ყველაზე მეტად დაბადება და სიკვდილი აუწმინდურებს, ამიტომაც შინტოს მცნებებით მშობიარენი და მომაკვდავნი უთუოდ უნდა მოიშორონ, საგანგებოდ გაკეთებულს ქოხში დააწვინონ, რომელიც შემდგომ დაბადებისა და სიკვდილისა დაუყოვნებლივ უნდა დასწვან. განწმენდისათვისვე საჭიროა ხშირი ბანება. ბანების გარდა განმწმედელ საშუალებათ ითვლებიან აგრეთვე ცეცხლი და მარილი. შინტოს ძველი ქურუმები საღმრთო წესების შესრულების დროს არამც თუ იბანდნენ და იცვამდნენ სუფთა ტანისამოსს, პირზედაც-კი ქაღალდს თურმე იფარებდნენ, რომ თავისის უწმინდური სუნთქვით მსხვერპლი არ შეეგინებინათ. ჰქონდათ აგრეთვე საზოგადო დღესასწაულები, როცა ქურუმი, ან თვითონ მიკადო, ნიშნად ცოდვათაგან საერთო განბანვისა, რამდენსამე ქაღალდის კაცს ამოავლებდნენ თურმე წყალში.

ვიდრე იაპონელები ჩინურს ხუროთმოძღვრობას გაეცნობოდნენ, შინტოს ტაძრები სულ უბრალო ქოხმახებს წარმოადგენდნენ. აშენებენ ტაძრებს მომეტებულ ნაწილად სადმე ჰიუვალ ადგილას, ტყესა და მწვანეში. გარედამვე ადვილად იცნობა შინტოს ტაძარი იმ საგანგებო კამარებზე, რომლებიც „ი“ (ინის) მზგავსად არიან გადაჭდეულნი და იწოდებიან „ტორიებათ“. ასეთი კამარა თვითოეულს ტაძარს უთუოდ რამდენიმე აქვს. თავდაპირველად იგინი საღმრთო ფრინველებისათვის ეწყოდნენ ქანდაარობას, რომელთაგანაც უფრო მიღებულნი არიან მამლები. ტაძრებისავე აუცილებელს კუთვნილებას შეადგენენ საღმრთო ცხოველები—ირმები, ცხენები, უთუოდ თეთრის ფერისანი-კი. ტაძრებში კერპებს ვერ ჰნახავთ, მაგრამ შიგნიდან კედლები მთლად მოფენილია ღმერთთა სხვა-და-სხვა ემბლემებით—სარკეებით, მახვილებით, ქვებით. კედლებზევე დახატულია სხვა-და-სხვა ფრინველები, ყვავილები. მსხვერპლსა და დღესასწაულებს ორნაირი აზრი და დანიშნულება აქვთ: მოიმადლიერონ განრისხებული ღმერთები და განწმედილ იქმნენ. ქურუმების თანამდებობა მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე, ასე რომ უცოლობა მათთვის სავალდებულო სულაც არ არის. პირ-იქით, ზოგიერთა ტაძრებში ქურუმი-ქალებიც-კი არიან. ქურუმი ითვლება იმ ღვთის ჩამომავლად, რომლის ტაძარსაც ემსახურება და თუ არ საღმრთო წესების ასრულების დროს, უიმისოდ უბრალო ერის კაცებისაგან სულ არაფრით არ განირჩევა. საღმრთო წესების შესრულების დროს-კი თეთრს განიერს სამოსელს იცმენ, ზედ სარტყელს ირტყმენ და შავს, ყაბალახის მინაგვარად გამოჭრილს, თავსაბურველს იხურავენ.

ცოტად თუ ბევრად განათლებულს იაპონელს შინტოს მოძღვრება სრულიად აღარ აკმაყოფილებს, რადგან ფილოსოფიურს აზრსა და შინაარსს მოკლებულია. ამიტომაც იაპონელი თავისს ოჯახურსა და საზოგადოებრივს ცხოვრებაში მუდამ კონფუცისა და მენცის, ანუ იაპონურად, კოშისა და მოშის წესებით ხელმძღვანელობს. მაგრამ კონფუცის მოძღვრება ჩინეთსა და იაპონიაში დიდად განირჩევიან ერთი მეორისაგან. ჩინეთში ყველაზე მაღლა მშობლების პატივისცემას აყენებენ, იაპონიაში—ბატონის ერთგულობასა. ერთგულობა მეფისა ყველაზე მაღლა სდგას; ამიტომაც თავგანწირვა ერთგულობისათვის დიად გმირობათ ითვლება. ამის შედეგათ უნდა ჩაითვალოს უთუოდ საქვეყნოდ ცნობილი ჩვეულება თავის მოკვლისა, **ხარაკირათ** წოდებული, რომელიც მხოლოდ ამ ბოლოს დროს აღკრძალა კანონმა. როგორ-კი ყოველსავე მოვალეობას მოიხდიდა ერთგული ქვეშევრდომი თავისს მბრძანებლისადმი, მაშინვე თავსაც იკლავდა. თავდაპირველად ეს ჩვეულება სამხედრო ხალხში გაჩნდა, რომელთაც ბრძოლის დროს უთუოდ ორი მახვილი მიჰქონდათ ხოლმე თანა: გრძელი, მტერთან საბრძოლველად, მოკლე კიდევ ხარაკირისათვის. როგორც-კი დაიჭრებოდა ჯარის-კაცი, შველას აღარ უცდიდა და მაშინვე ამ მოკლე მახვილით თავს იკლავდა. დაბოლოს ხარაკირი დიდკაცებისათვის დასდეს სასჯელად. ამიტომაც იაპონელთა შორის წმიდანებათ ჩარიცხულნი არიან მომეტებულ ნაწილად თავისმკვლელნი და არა სხვა რომელიმე კეთილისმყოფელნი ერისა. მაგრამ თუ უწინ დიდს პატივში იყო კონფუცის მოძღვრება, ახალმა თაობამ დღეს თითქმის სულ აღარა იცის-რა მისი და კონფუცის დიდი ტაძარი ტოკიოში საამზრდელო მუზეუმათ არის დღეს გადაქცეული.

მე-VI საუკუნეში, ქრისტეს შემდგომ, იაპონიაში ბუდდას მოძღვრებაც შეიტანეს, მაგრამ მე-IX საუკუნემდე, ვიდრე ქურუმმა კობო-დაიშიმ არ შეაერთა შინტოსი და ბუდდას მოძღვრება, არავითარი გავლენა არა ჰქონია. იაპონიაში ამ ჟამად ბევრია ამიტომ ბუდდას ტაძრები, რომლებიც შინდეს ტაძრებზე ბევრად მდიდრები და გამშვენიერებულნი არიან, სხვა-და-სხვა გვარის ქანდაკებებით სავსენი. ღვთის მსახურება ბუდდასი, განსაკუთრებით სადღესასწაულო, მშვენიერი სანახავია, გალობითა, გუნდრუკის კმევითა და სანთლებით გალამაზებული. ღვთის მსახურებას ბონზებათ წოდებული ქურუმები ასრულებენ, რომელთაც ტანთ ოქრომკედით ნაკერი სამოსელი აცვიათ. პურის კურთხევის წესი ბუდდასი ქრისტეანულს ძალიან წააგავს. სიკვდილისა, დაბადებისა, ავადმყოფობისა თუ შიმშილისა და გვალვისა, ან სხვა რამ უბედურობის დროს უთუოდ ღმერთს იგონებენ, პარაკლისს ხდილობენ. შესანიშნავია ბუდდას მლოცავის საღმრთო ლოცვა-ვედრება: იღებს ქაღალდს, არგვალებს პირში და მერე მიზანში ამოღებულს კერპს ესვრის პირით (აწიტებს). თუ რომ ქაღალდი კერპამდე მიაღწევს,

კანონიერ გემ „მანჯურს“ წარსულ ხუთშაბათს იარაღი აჰყარესო.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: ვუზუნთან მდგარი იაპონიის კრეისერი, რომელიც „მანჯურს“ უდარაჯებდა, ჩრდილოეთისაკენ წავიდაო („ნ. ვ.“).

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: იაპონელ აფიცრების გეოგრაფიულ რუქებზე ყოველი წყარო, ყოველი პატარა გორაკა, ბუჩქი, ჯაგი და ხეც კია დახატულიო („ნ. ვ.“)

ლონდონიდან ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს. რუსებმა იაპონელი მუშები დაიჭირეს, ბოლოს ეს მუშები იაპონიის შტაბის აფიცრები გამოდგნენ. იაპონელებმაც 12 რუსი დაატუსაღეს ნიაკეშიმას კუნძულზე, იძუს ნახევარ კუნძულს ახლო (კუნძულ ნიპონზეა). მრავალი იაპონელი აგენტი წავიდა დაჭერილ რუსების გამოსაკითხად, მაგრამ ვერა გააგებინეს-რა, რადგან არც რუსებს ესმოდათ იაპონური, არც იაპონელებს რუსული

ნიუ-იორკში 8 თებერვალს დეპეშა მიუღიათ: ორისა, თუ სამის კვირის შემდეგ იაპონიის ახალი კრეისერები „კასუგა“ და „ნიშინი“ მზად იქნებიან საბრძოლველადო.

ნიჟნი-ნოვგოროდიდან „ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ: აქაურ ბირჟას პორტ-არტურიდან დეპეშა მოუვიდა, 300 მექანიკი მუშა დაიქირავეთ პორტ-არტურისათვისაო. სარმოვის ქარხნებმა გამოაცხადეს, მუშებს გავგზავნით, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამუშაო ქირა მიამატოსთო.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: 6 თებერვალს შუა ღამისას პერიმთან რუსის ესკადრამ გაიარა და სუეცისაკენ გაემართა. ჰფიქრობენ, ეს ესკადრა ადმირალ ვირენიუსის ესკადრა („დიმიტრი დონსკოი“, „ოსლიაბა“ და სხვ.) იქნებოდაო. „ტაიმსი“ შეჰნიშნავს, იქნება ვირენიუსის ესკადრა სულაც შინ დაბრუნდესო („რ. ვ.“).

რუსეთის სამხედრო პლანი. გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: „ახლა კარგად გამოირკვა, რომ რუსის სამხედრო წრეები სულ არ მოელოდნენ იაპონელების დაცემას. რუსის ფლოტი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ვეღარც შეერთდა და აკი ვეღარაფერს ვეღარა თავობს და ვეღარ არიგებს. ზღვის გარდა, რუსები არც თუ ხმელეთზე ყოფილან დამზადებულები. ეს იქიდან სჩანს, რომ რუსები იალუზე გამაგრებას აღარ აპირებენ და ხარბინისაკენ იხევენ. ცხადია, რუსები ეხლაც ისე მოიქცევიან, როგორც 1812 წ. ფრანგებს მოექცნენ. ეხლაც უკან-უკან წავლენ, ისე როგორც ნაპოლეონ I წინ იხევდნენ. რუსის სტრატეგებს ესეთი პლანი მით უფრო გამოსადეგად მიაჩნიათ, რომ იაპონელებს ჯარის გამოკვება მანჯურიაში იალუსა და ხარბინს შუა ვითომ მეტად გაუჭირდებათო. ამას გარდა რუსებს იმედი აქვთ, რომ ამნაირად ომს შემოდგომის გასვლამდე გააჭიანურებენ; დადგება სიცივე და სითბოას დაჩვეული იაპონელები საშინელ ყინვას ვეღარ გაუძლებენ და ადვილად დამარცხდებიანო („ნ. ვრ.“)

„ნოვოე ვრემია“ შეჰნიშნავს, საიდან შეიტყო „ბერლინერ ტაგებლატ“-მა, რომ რუსის ჯარები მდინარე იალუს სტოვებენ და ხარბინისაკენ იხევენო. იქნება გაზეთის კორესპონდენტი რუსეთის მთავარ-შტაბში ჰზისო.

ჩინელების მოქმედება. ხმა დადის, შანჰაიგუანს ახლო ჩინეთის მუდმივ ჯარსა და რუსებს შეტაკება მოსდითო („ნ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტიან-ძინიდან: აქედან 5 ათასი ჩინელი ცხენოსანი ჯარის-კაცი ნიუჩუანისაკენ (ინკოუსაკენ) წავიდაო. („რ. ს.“).

„ტაიმს“-ი იუწყება: მანჯურიიდან ჩინეთის მუშები ჩინეთს ბრუნდებიან და ამით დიდ გაჭირვებაში აგდებენ რუსებსაო („ნ. ვ.“).

პეკინიდან და ტიანძინიდან ამბავი მოვიდა: გენერლებს მა-იუ-კუნსა და ჩინს ჰკუაში არ მოსდით, რომ ჩინეთი ნეიტრალიტეტს იცავს. ეს გენერლები იმპერატორთან ჩივილს აპირებენ. იაპონიის ელჩი პეკინში ბეჯითად იქცევა და ცდილობს, ჩინეთიც როგორმე საქმეში გარიოს და რუსეთის წინააღმდეგ აამხედროს. ამ ელჩის გავლენით იაპონიის მომხრე მეფის მოადგილემ იუანშიკაიმ და ტიელიანმა მთავრობას საიდუმლო ქაღალდი მიართვეს. იუანშიკაი და ტელიანი ურჩევენ მთავრობას, იაპონიასთან უსათუოდ სამხედრო კავშირი შეკრათო („ნ. ვ.“).

გერმანული ოფიციოზური გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: ყველანი ამტკიცებენ, ინგლისი ძლიერა ცდილობს და ბეჯითად ურჩევს ჩინეთს, იაპონიას მხარი დაუჭირე და რუსეთის წინააღმდეგ მოურიდებლად ჯარი გაჰგზავნეო. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ცნობა, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ ასეთი ქცევა კარგად შეეფერება ინგლისის ჩვეულებრივს პოლიტიკას. ისიც ნამდვილია, რომ ჩინელი სტუდენტები ამ ჟამად მხნედ მოქმედებენ და ხალხს ურჩევენ, იაპონიას მიემხროთო („რ. ვ.“).

ინგლისი და რუსეთი. ბევრნი ამტკიცებდნენ, ინგლისი მეტად ვერაგულად მოიქცა, თავისი ნავთსადგური ვეი-ჰაი-ვეი ომის დაწყების წინ იაპონელებს დაუთმო და ამით ადმირალ ტოგოს ესკადრას პორტ-არტურზე დაცემა და რუსის გემების დაზიანება გაუადვილაო. ეს ცნობა ტყუილი გამოდგა. ამის თაობაზე „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია: „რუსული გაზეთები დღემდე სწერენ, ვითომ სამხედრო მოქმედების დაწყების წინ იაპონიის ფლოტი ინგლისის ნავთ-სადგურ ვეი-ჰაი-ვეიში მდგარიყოს. ეს სრულიად უსაფუძვლო ცნობაა. დღეს ერთმა ოფიციალურმა დაწესებულებამ გადაჭრით დაგვიმტკიცა, რომ ინგლისი კანონიერად მოქცეულა და ვეი-ჰაი-ვეი იაპონიის ფლოტის სამოქმედო ბაზად არას დროს არა ყოფილა. იაპონიის გემები ვეი-ჰაი-ვეის ახლო არც-კი გამოჩენილან“.

დეპეშებიდან ვიცით, რომ ინგლისის მთავრობამაც მაშინვე ოფიციალურად გადაჭრით უარ-ჰყო ეს ცნობა და დაამტკიცა, რომ იაპონიის ფლოტი ვეი-ჰაი-ვეის ახლოც არ მიჰკარებიაო.

ერთი ინგლისური გაზეთი სწერს: რუსეთის ელჩი გრაფი ბენკენდორფი პეტერბურგს მარტო თავის შვილის სანახავად როდი წავიდა. გრაფი იმ აზრითაც წავიდა, რომ რუსეთის მთავრობას ინგლისის ერის აზრი და სურვილი გააგებინოს და ურჩიოს, რომ სისხლის ღვრის ასაცდენად იაპონიასთან მორიგებაზე მოლაპარაკება გამართოს და შუამავლად ინგლისი აირჩიოს („ნ. ვრ.“).

„ნოვოე ვრემია“ შეჰნიშნავს: „რუსეთის ელჩს სიზმრადაც არ მოელანდებოდა ასეთი აზრი. ყაჩაღი იაპონელები უსათუოდ უნდა დასაჯოს რუსეთმაო. აი ამისთანა ტყუილებს ავრცელებს ინგლისური პრესაო“.

ამერიკული გაზ. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ი სწერს: ბრიტანიისა და გერმანიის ელჩები ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრს ჰეის ეთათბირნენ, როგორ მოვექცეთ რუსეთს, თუ ვინიცობაა იაპონიამ დაამარცხაო. სამივე სახელმწიფოს წარმომადგენელნი ამნაირად შეთანხმდნენ: თუ ვინიცობაა რუსეთი დამარცხდა, პორტ-არტურს ნუ წავართმევთ, დეე დიდ ოკეანეზე ერთი ისეთი ნავთ-სადგური ჰქონდეს, სადაც წყალი არ იყინება, მაგრამ პორტ-არტურის გამაგრებისა და დიდ ოკეანეში ფლოტის ყოლის უფლება უსათუოდ უნდა აეკრძალოს რუსეთსაო. ამ პირობას იაპონიაც დასთანხმდება, რადგან მაშინ პორტ-არტური იაპონიის დამოუკიდებლობისა და ხელ-უხლებლობისათვის საშიში აღარ იქნებაო („ნ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“ შეჰნიშნავს: ეს ცნობა ნამდვილი ცოცხალი ტყუილი და ცილის წამებააო.

ინგლისი და საფრანგეთი. იაპონიის მომხრე ინგლისური გაზ. „დეილი მეილ“-ი სწერს: „მართალია ინგლისი და საფრანგეთი ამ ჟამად მეგობრები არიან, მაგრამ შეიძლება მალე ისეთი ამბები მოხდეს, რომ ეს მეგობრობა მტრობად შეიცვალოს. ინგლისსა და საფრანგეთს ერმანეთისა არცარა ჰშურთ, არც მტრობა აქვთ, მაგრამ გარეშე სახელმწიფოები ძლიერა ცდილობენ, ეს ორი მეგობარი სახელმწიფო ერთმანეთს გადაჰკიდონ. ფრანგებმა კარგად უნდა იფიქრონ და ყველაფერი რიგზე ასწონ-დასწონონ, რომ გულწრფელი მეგობარი ინგლისი სხვა სახელმწიფოების გულისათვის არ გადაიკიდონ. ჩვენ, ინგლისელები, ყოველ ღონეს ვღონებთ, არაფერს არ დავიშურებთ, რომ საფრანგეთთან ბრძოლა არ მოგვიხდეს; დარწმუნებულნი ვართ, ფრანგებიც არ უღალატებენ თავიანთ ისტორიულ წარსულს და ასეთსავე კეთილგონიერებას გამოიჩენენ. ევროპის კონტინენტზე რომ ჩვენ, ინგლისელები, ბევრს ვეჯავრებით, ეს ახალი ამბავი არაა. ჯერ კიდევ გრაფ კავურმა ბრძანა, ევროპის კონტინენტის მცხოვრებლებს, ინგლისი სძულთო. ჩვენ ვისთანმე ომი ფიქრადაც არ გაგვიტარებია, მაგრამ თუ საჭირო იქნება, ყველას ღირსეულად დაუხვდებით. ინგლისი მიუდგომლად მოიქცევა და ნეიტრალიტეტს მტკიცედ დაიცავს. მაგრამ თუ ვინმე ნეიტრალიტეტს დაარღვევს, ინგლისიც მაშინვე უკლებლივ შეასრულებს თავის მოკავშირე იაპონიასთან დადებულ ხელშეკრულობას“.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში (ჟურნალ-გაზ., რუს. სამხ. პლანი) შეცდომით დაბეჭდილია: „რაც ფლოტი დარჩა, ვლადივოსტოკის გამაგრებას მოანდომებენო“. უნდა იყოს: რაც ფული დარჩა და სხვ.

რუსეთის პრესსის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ

განვაგრძოთ რუსულ პრესსის აზრის გაცნობა ახლანდელ კონფლიქტის შესახებ. „მოსკოვ. ვედ.“-ს, „გრაჟდანინ“-ისა „ვესტნიკ იუგა“-ს და სხვა გაზეთების შემდეგ გავიცნოთ, რასა სწერს და რას ჰფიქრობს შორეულ აღმოსავლეთის ამბებზე ჟურნალი „ვესტნიკ ევროპი“. ამ ჟურნალში უცხოეთის მიმომხილველი სწერს (იხ. თებერვლის წიგნი, გვ. 818):

ევროპისა და ამერიკის აზრი რუსეთის შესახებ ძალიან გამოიცვალა უკანასკნელ წლების განმავლობაში. გვგონებთ, ეს გარემოება უტყუარი ფაქტია, რომლის წინააღმდეგ ტყუილად აცხადებენ პროტესტს ჩვენი პატრიოტები. აზრის გამოცვლას ვერ გადავაბრალებთ რომელსამე ერთ ამბავს ან შემთხვევით გარემოებებს; ასეთი გადაბრალება სიმართლე არ იქნება. ამის მიზეზი იყო მრავალი გარემოება, რომელნიც დიდ მითქმა-მოთქმასა და ინტერესს იწვევდნენ საზღვარგარედ. ინგლისელები ჩვენ ყოველთვის მტრულად გვიყურებდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი კონკურენტები არიან გარეშე საქმეებში, არამედ იმიტომაც, რომ ბევრი რამ ვერ გაუგიათ ჩვენს შინაურს საქმეებში. ამ ჟამად-კი, შორეულ-აღმოსავლეთის კრიზისისგამო, ინგლისელებმა გაიხსენეს თავისი სიძულვილი რუსებისადმი და უსაზღვროდ მიეცნენ მტრობის გრძნობათა გამოცხადებას, მით უმეტეს რომ მათი ინტერესები სრულიად ეთანხმებიან იაპონიის მოთხოვნათ მანჯურიასა და კორეაში. ლონდონის პრესსის ერთობა რუსეთისადმი მტრობის გამოცხადებაში ამ ჟამად დიდად სერიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან ამგვარადვე იქცევა ინგლისის ავტორიტეტული გაზეთი „ტაიმს“-იც, რომელიც ზომიერ და ფრთხილ ორგანოდ ითვლება საერთაშორისო პოლიტიკაში. „ტაიმს“-ი სისტემატიურად სდევნის რუსეთს და მხურვალედ იცავს იაპონიის თავგამოდებას მანჯურიის გამო; ხოლო თუ „ტაიმს“-ი ომის მომხრეა, ცხადია, ომი ჰსურს ინგლისის საზოგადოების მომეტებულსა და გავლენიანს ნაწილსაც...

ლოცვა-ვედრება შეწყნარებულია, თუ არადა, არა. თუ რომ ავადმყოფის განკურვნა ჰსურთ, ჯერ პინზურას (ერთი ათთექვსმეტთაგანი მოწაფეა ბუდდასი) კერპს მოუსმენ ხელს იმ ადგილზე, რა ადგილიც ავადმყოფს სტკივა, მერმე ავადმყოფსა და ავადმყოფი განიკურნება.

მაგრამ უკანასკნელ რევოლიუციის დროს ბუდდას მოძღვრებამ ვერ იხეირა და მრავალი ტაძარი და მონასტერი დაიხურა, ზარები მთლად ფულად ჩამოასხეს. დღეს-კი მხოლოდ სტადღლაა გავრცელებული.

მაგრამ მრავლად არის გავრცელებული აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი მწვალებლობა, რომელთაგანაც პირველი ადგილი „ტენრიკიო“-ს უნდა დაეთმოს. დააარსა იგი მე-XIX საუკუნის პირველს ნახევარში იამატოს პროვინციიდან გლეხის ცოლმა ნაკაიამა მიკიმ ანუ ომიკიმ, რომელსაც გამოეცხადნენ შინტოს ღმერთები (მათგან კუნი-ტოკო ტაჩი-ნო-მიკოტოც) და ახალი მოძღვრება განუცხადეს.

„ტენრიკიო“, ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ, ჰნიშნავს „ზეციურ ვონიბის მოძღვრებას“. მართალია, მეტი ნაწილი „ტენრიკიოს“ მოძღვრებისა იგივე შინტოს და ბუდდას მოძღვრების გამეორებაა, მაგრამ უმთავრესი, დოგმატებით მაინც გაირჩევა. ასეთია, მაგალითად, უმთავრესი დოგმატი ერთის ღვთაებისა, თუმცა თვითონ ომიკის აზრით მზისა და მთვარისაგან არის ხალხი წარმომდგარი. ახალ დოგმატათვე უნდა იქმნას აღიარებული ის, რომ ღმერთს მამაშვილური დამოკიდებულება აქვს ხალხთანა, — რომ ყველა უყვარს და სხ. მაგრამ არის ამ მოძღვრებაში ბევრი რამ ისეთიც, რაც მხოლოდ ბოლოს დროს გადიღეს ომიკის მიმდევართ ქრისტიანობიდამა.

ვნახოთ ახლა, ქრისტეანობა რამდენად არის გავრცელებული იაპონიაში.

პირველად ქრისტიანობა მე-XVI საუკუნეში გაიცნეს იაპონელებმა კათოლიკეთა მისიონერის წმ. ფრანცისკო კსავიესაგან და 1581 წ. უკვე 150,000 მიაღწია იაპონელ ქრისტეანეთა რიცხვმა, მაგრამ მალე გარემოება შეიცვალა და დევნა დაუწყეს, თითქმის მთლად გასწყვიტეს. მაინც დრო და-დრო ისევა ვრცელდებოდა ხოლმე, თუმცა სიოგუნების — ჰიდეიოშისა, იეზუასი და ხიტედატეს მმართველობის დროს ერთ-თავად სდევნიდნენ. იქამდის მიაღწია ბოლოს მისსიონერების ქცევისა გამო გამწვავებულმა ქრისტეანების სიძულვილმა იაპონელების მხრივ, რომ სიოგუნმა ხიტედატემ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ყველა უცხოელს, ვინც-კი იაპონიაში თავს ამოჰყოფდა. შესანიშნავია ამ მხრივ იაპონელების მიერ ქრისტეანების დევნა. მცოდნე კაცები სწერენ, მაგალითად, რომ არსად დედამიწის ზურგზედ ქრისტეანობის დევნას იმ ზომამდე არ მიუღწევია, როგორც ეს იაპონიაში მოხდა. მარტო ერთ-ხელად ამოსწყვიტეს შიმბარის ციხეში 30,000 სული ადამიანი.

კარი გაეღო ქრისტეანობას მხოლოდ-ღა ბოლოს, როცა ახლად გამომზევებული კარჩაკეტილი ამომავალი მზის ქვეყანა ყოველისფერს ევროპიულს გატაცებით დაეწაფა. მაგრამ ამ ჟამადაც მხოლოდ **„ევროპის სარწმუნოების“** სახელით გაიკაფა გზა, რადგან წინანდელი სიძულვილი ჯერ კიდევ დავიწყებული არა ჰქონდათ. გატაცებით იღებდნენ ქრისტეანობას ყველანი გაურჩევლად, ისრევე, როგორც ევროპიულს ქოლგებს, შლაპებს, სახლის მოწყობილობას; ერთი სიტყვით, **ქრისტეანობა მოდაში თურმე იყო**, როგორც დ. სერბსკი ასწერს. მაგრამ 1890—1894 წ. უცბად უკან დაიხიეს, უცხოურმა ყოველმავე ფასი დაჰკარგა და მოდით გაქრისტეანებულმაც ბევრმა შეაქცია ზურგი „ევროპის სარწმუნოებას“.

დარჩნენ მათგან მხოლოდ-ღა ისინი, ვისაც მართლა ღრმად ჰქონდა ქრისტეს მცნება შეთვისებული. მაგრამ შესანიშნავია, რომ მრავალ ქრისტეანულ მოძღვრებათაგან, რომლებიც დღესაა იაპონიაში გავრცელებული, ამომავალი მზის შვილები ჰფიქრობენ სულ განსხვავებული ქრისტეანობა შეჰქმნან, აქაც რეფორმატორობას ჩემულობენ.

შესანიშნავია ამ მხრივ ერთის იაპონელ ღვთის მეტყველის აზრი. აი, რასა სწერს იგი: „ვამტკიცებთ ჩვენ, რომ ჩვენი ერი, ასე თუ ისე, სხვებსა სჯობიან და შეგვწევს ნიჭი ზნეობრივად გაერთიანებისა. როცა-კი იაპონიაში რომელიმე ფილოსოფიური ან სარწმუნოებრივი სისტემა შემოვიდოდა, ჩვენ მუდამ ჩვენის ერის ზნეობრივს მოთხოვნილებას შევუწონიდით ხოლმე მას. ასე დაემართა ბუდდასა და კონფუცის მოძღვრებას.... სახარება თესლია და სხვა-და-სხვა ნიადაგზე სხვა-და-სხვა ნაყოფს იძლევა. სასწაულად არავის უნდა ეჩვენოს, მაშასადამე, თუ რომ იპონია ქრისტეანობის საუკეთესო ტიპს შეჰქმნის. ყოველს შემთხვევაში მომავალი იაპონური ქრისტეანობა სრულიად განსაკუთრებულის ხასიათისა იქმნება და თავისუფალი, როგორც მისტიციზმისა და წესებისაგან, ისე დოგმატებისა და ფილოსოფიისაგან, მაგრამ დაიცავს ეტიკას, რეალიზმისა და ცხოვრების პრაქტიკულს მხარეს: ამისი თავდებია ჩვენი ეროვნული ხასიათი და ქრისტეანობის დღევანდელი მიმდინარეობა ჩვენს მხარეში. დღევანდლამდის მაინც თავისი ძალა მხოლოდ მაღალის ზნეობრივ იდეებითა და ეროვნულის გრძნობებით იჩინა თავი და არა მდიდარისა და მშვენიერ ეკკლესიებით. ვისაც-კი ამ ბოლოს დროის (15 წლის) ჩვენი ჟურნალ-გაზეთები უკითხავს, ყველა უთუოდ დაინახავდა, რომ ქრისტეანობა მხოლოდ ეროვნულ თვითცნობიერებისათვის ილვწოდა, სცდილობდა მისს ზნეობრივად და გონებრივად განვითარებასა. ყველაზედ მეტად ძლიერია ქრისტეს მოძღვრება იქ, სადაც არა სჩანს; გარეგანი ფორმები და ტაძრები სულმთლად სჩრდილავენ მისს გავლენასა. ვნატრობთ და ვლოცულობთ, რომ იაპონია საქრისტეანო ქვეყნათ გადიქცეს, მაგრამ ისე-კი, რომ ტაძრები უარჰყოს, ვინაიდგან: „არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისა ზმნით, არცა ჰსთქუან: აჰა აქა, ანუ იქი; და აჰა, ეგერა, სასუფეველი ღმრთისა შორის თქუენსა არს“ (ლუკ. XVII, 21, 22).

ინ-ანი

ინგლისელები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთ-იაპონიის ომი მათ მხოლოდ სარგებლობას მოუტანს და საშიში არაფრით არ არის. ასევე ჰფიქრობენ იაპონელებიც. იაპონია ყოველ შემთხვევაში იერიშის მომტანი იქნება და შესძლებს დიდი ზარალი მიაყენოს ჩვენს სამფლობელოს შორეულს-აღმოსავლეთში; რუსეთის ფლოტი-კი იძულებული იქნება ვლადივოსტოკისა და პორტ-არტურის დაცვას მოუნდეს, იაპონიის წყლებში გალაშქრებაზე-კი ფიქრიც მეტი იქნება. თუნდაც რომ დამარცხდნენ იაპონელები, ჩვენ მათ ვერ მივუხტებით, რადგან მთელი ჩვენი ძალ-ღონე წყნარ ოკეანეზე შეძენილ პოზიციების დაცვას უნდა მოვანდომოთ. ზარალის მეტს ვერაფერს ვნახავთ იაპონიასთან შეტაკებაში, კიდეც რომ გავიმარჯვოთ; ხოლო ჩვენი ზარალი ინგლისის მოგება და სარგებლობა იქნება, რადგან ინგლისს შორეულს-აღმოსავლეთში დიდი სავაჭრო ინტერესები აქვს; ჩვენ-კი ეს ინტერესები იქ არა გვაქვს და არც გვექნება. ამიტომაც ინგლისის პრესსის მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ სრულიად ბუნებრივია...

აგრეთვე მტრულად გვეკიდება ამერიკის პრესსა. როგორც ინგლისისათვის, ისე ამერიკისათვისაც საზარალოა ის გარემოება, რომ ჩვენ ჩინეთის ნაწილი (მანჯურია) დავიპყრეთ, რადგან მათაც დიდი ინტერესები აქვთ შორეულს-აღმოსავლეთში. მაგრამ ამერიკის გამწარება ჩვენს წინააღმდეგ მარტო იმით არ აიხსნება, რომ ჩვენ მანჯურია დავიპყარით, არამედ მრავალ იმ გარემოებითაც, რომელიც ამერიკის პრესსას მუდმივ საბაბს აძლევს რუსეთი ჰკიცხოს და სდევნოს. ამერიკულ პრესსაში რუსეთის წინააღმდეგ დიდი აგიტაციაა გამართული; ეს აგიტაცია იმით არის გამოწვეული, ვითომც რუსეთში ყოველთვის უკანონობა და ძალმომრეობა ჰსუფევს, რომელიც ვითომ მთავრობის თანხმობით ხდება; ამერიკული პრესსა იმ აზრს ავრცელებს, ვითომ რუსეთი ბარბაროსობის ბურჯია, და ცდილობს ისეთივე სიძულვილი გამოიწვიოს რუსეთის წინააღმდეგ, როგორიც ოსმალეთის წინააღმდეგ არსებობს. შეიძლება, ამ აგიტაციას დროებითი და შემთხვევითი ხასიათი აქვს, მაგრამ ცხადია მან ჩვენს წინააღმდეგ აადელვა შეერთებულ შტატების საზოგადოებრივი აზრი და შესაძლებელად გახადა ამერიკისა და ინგლისის დაახლოვება შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოთ.

ბევრს ჰგონია, ვითომ ჩვენ წინააღმდეგ მარტო იაპონია იყოს, რომელსაც რაც შეიძლება მალე უნდა გავუმკლავდეთო. მაგრამ შეცდომა იქნება დავივიწყოთ, რომ იაპონიის ზურგს უკან ინგლისი სდგას და ინგლისთან შეთანხმებით შტატებიც იმოქმედებენ; გარდა ამისა, შემდეგში ჩვენ წინააღმდეგვე ჩინეთიც ამხედრდება, რადგან ისიც გრძნობს თავისსა და იაპონიის ინტერესების სოლიდარობას მანჯურიაში. მარტო იაპონია, თუ მეგობრებისა და მოკავშირეების იმედი არ ჰქონდეს, ასე გაბედულად არ აიმხედრდებოდა რუსეთის წინააღმდეგ. ზოგი ჩვენი პატრიოტი შეურაცხყოფილად სთვლის რუსეთს იაპონელების მოთხოვნებითა და ზიზღით სავსე ამპარტავნობით უყურებს იაპონიას, მაგრამ ეს მეტის-მეტი გულუბრყვილობა იქნება და, თუ ასე მოვეპყარით იაპონელთ, უთუოდ გავებმებით ინგლისელების მიერ მომზადებულ მახეში. საჭიროა, დაფიქრებით შევხედოთ საქმეს და შევიგნოთ, რომ ჩვენი მტერი მარტო იაპონია-კი არ არის, არამედ სხვა სახელმწიფოებიც...

პირდაპირ რომ ვთქვათ, თვით რუსეთის ინტერესები, როგორც არა ერთხელ წინადაც გვითქვამს ეს, მოითხოვენ მანჯურიიდან თან და თან ჩვენის ჯარის გამოყვანას იმ პირობით-კი, რომ უზრუნველყოფილი იქნას იქ ჩვენის რკინის გზის არსებობა; ეს მოსახერხებელია, თუ ჩინეთსა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს შევუთანხმდებით. ხოლო თუ ამ ჟამად მოუხერხებელია მანჯურიიდან ჩვენი გამოსვლა, ვალდებულნი ვართ დავაკმაყოფილოთ უცხოელთა მოთხოვნანი და სრული თავისუფლება მივანიჭოთ მათ კომერციულ ინტერესებს შორეულს აღმოსავლეთში. შეიძლება, შემდეგში, როცა ჩვენსა და ჩინეთს შორის მეგობრული განწყობილება უფრო გაძლიერდება, ჩვენ თვითონ დავინახავთ, რაოდენ სასარგებლო იქნება რუსეთისათვის მანჯურიაზე სრულიად ხელი აიღოს და თავიდან აიცილოს იმდენ ძალ-ღონისა და საშუალების დახარჯვა, რამდენიც საჭირო იქნება მანჯურიაში მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვისათვის.

„ვესტნიკ ევროპი“, როგორც ამ შენიშვნიდანაც დაინახავს მკითხველი, დიდი მომხრე იყო კონფლიკტის მშვიდობიანად გათავებისა და იაპონიასთან შერიგებისა. ამისთვის ბევრის დათმობასაც-კი ამჯობინებდა ბოლომდე არც დაუკარგავს იმედი, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ვნახოთ, ეხლა რას იტყვის ეს ჟურნალი თვით ომზე.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა ქალაქის გამგეობას გაუგზავნა ოლქის სასამართლოს მიერ დამტკიცებული **პირი იმ ანდერძისა**, რომლითაც ტფილისის მცხოვრებმა არტემ შამხაროვმა დაუტოვა ტფილისს: ტფილისში—ლერმონტოვის ქუჩაზე, 2 სართულიანი სახლი ადგილითა და მთელის მოწყობილებით, ქ. ფოთში—სამი დიდი ნაჭერი მიწა, ქ. ასტრახანში—13,000 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, რომელიც ამ ჟამად იჯარით აღებული აქვთ კერძო პირებს, საბუნჩაში—500 საჟენი ნავთიანი მიწა, სარგებლიანი ქაღალდები 13,000 მანეთისა, 11 მომგებიანი ბილეთი შინაგან პირველ და მეორე სესხებისა და ყველა ის ქონება, რომელიც, ჩამოთვლილს გარდა, აღმოჩნდება. ანდერძით ეს მამულები და ქონება განსვენებულის მეუღლის ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ გადავა ქალაქის ხელში. ქალაქის გამგეობამ ეს ქონება უნდა მოახმაროს: 60 პროცენტი ქალაქის სასწავლებლებში შამხაროვის სახელობაზე სტიპენდიების დაარსებას: 40 პროც. გადაიცემა სომეხ-გრიგორიანთა სტიპენდიებისათვის, ხოლო 20 პროცენტი სხვა ეროვნებათა; 20 პროც.—ტფილისის ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარისთვის; 10 პროც.—ტფილისის საკომერციო სასწავლებლისათვის; 10 პროც.—მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენისათვის. ქალაქის გამგეობა ამ დღეებში განიხილავს ამ საქმის შესახებ მოხსენებას.

◆ **ვერაზე სათავად-აზნაურო სკოლის** ახალ შენობის მახლობლად მდებარე ადგილების პატრონებმა კომისია აირჩიეს, რომელსაც მიანდეს გაიგოს, ჰსურს თუ არა უსახელო საზოგადოებას წყნეთის ქუჩის გაგრძელებაზე ცხენის რკინის გზის გაყვანა.

◆ გუშინ ტფილისის **გუბერნატორმა მისწერა** ქალაქის მოურავს: ეს რამდენიმე ხანია ვავალებ ქალაქის გამგეობას, გადაათვალიეროს ყველა ის სავალდებულო დადგენილებანი, რომელნიც გამოცემულია 1892 წლის საქალაქო დებულების შემოღებამდე, მაგრამ ეს დავალება ჯერაც სისრულეში არ არის მოყვანილიო. გუბერნატორი წინადადებას აძლევს მოურავს, დააჩქარონ აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა გადათვალიერება.

◆ დადგა თებერვალი, ჩამოთბა, თოვლი დაიძრა და მტკვარიც აიმღვრა, რასაც, რასაკვირველია, მოჰყვა მილის **წყლის ამღვრევა-ატალახება**. მთელ ქალაქს წყლის მილის მოუწყობლობისა გამო ისეთ ამღვრეულ წყალს აწვდიან, რომ საჭირო ხდება ხელმეორედ დაწმენდა შინაურულის საშუალებით.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც შეცვლილ იქნა **ხორცის ნიხრი** და აგრეთვე ხორცის ხარისხებად დაყოფა.

◆ **ქალაქ ფოთში** ახალ სობოროს აგებას შეამდგომლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი. გეგმა ამ სობოროსი ეპისკოპოსს ამ დღეებში უკვე მოსვლია პეტერბურგიდან ფოთის ქალაქის თავის ბ-ნ ნიკოლაძისგან.

◆ ტფილისის **სამხედრო საკრებულოს** თავმჯდომარის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ავადმყოფობისა გამო იმის ნაცვლად დროებით დაინიშნა თავ. ჩერქეზიშვილი.

◆ სადგურებ **ლანჩხუთსა და საჩხერეში** ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებსა ხსნიან.

◆ საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებათა **მთავარ ინსპექტორს**, ბ-ნ ლეის პეტერბურგიდან ტფილისს ამ დღეებში მოელიან.

◆ 15 თებერვლისთვის დანიშნული იყო კრება კანცელარიებში ქალაქების გადამწერთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა. რადგან წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, კრება 22 თებერვლისათვის გადაიდო.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს ერთი ცალი გამგეობის მიერ შემუშავებულ პროექტისა საპენსიო კასის დაარსების შესახებ ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთათვის.

◆ ამ დღეებში თამამშევის ქარვასლაში ძმ. ფორაქაშვილის მაღაზიიდან ვიღაც ევროპიულ ტანთსაცმელში გამოწყობილს ქალს ერთი თოფი (50 მ. ღირებული) ფარჩა მოუპარავს, მაგრამ მაღაზიის პატრონს შეუნიშნავს და წაურთმევია.

შეცდომის გასწორება. გუშინდელს დილის დეპეშაში პეტერბურგიდან შემდეგი შეცდომა შეგვპარვია: დაბეჭდილია. „უმაღლესად დამტკიცებულის კომიტეტის თავჯდომარე აუწყებს იაპონიის ადმინისტრატიულს“ და სხვ.; უნდა იყოს... „იმპერიის ადმინისტრატიულს“ და სხვა..

ტფილისის ქალაქის საბჭო

16 თებერვალი

სანამ საბჭო მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგებოდა, ხმ. ა. ს. ბაბოვმა ნება ითხოვა და შემდეგი განცხადება შეიტანა: რუსულ გაზეთს „კავკასკი ლისტოკ“-ში დაბეჭდილია, მუხრანის ბორანის იჯარადრად ყოფილი ბუღდანოვი ალბად ქალაქის გამგეობის საყვარელი კაცი უნდა იყოს, ან ქალაქის საქმეებთან დაახლოვებულის კაცის მეგობარი უნდა იყოსო, რომ ქალაქის ფული 12 ათას მანეთამდე შეირჩინა და ეხლა ქალაქმა საჩივარი უნდა დაუწყოს, რომ ეს ფული იმისაგან მიიღოსო. ეს ისეთი სიტყვებია, რომელიც დიდად შეურაცხჰყოფს ქალაქის გამგეობას და მოგვახსენეთ, რა გზას დაადგა გამგეობა, როცა ეს სიტყვები ამ გაზეთში ამოიკითხა?

თავმჯდომარემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა უპასუხა, რომ გამგეობას ამ საგანზე არავითარი სჯა არ ჰქონიაო.

ხმ. ბაბოვმა განაცხადა: ამ გაზეთის რედაქტორად ხმოსანი ნ. ი. თამამშევია და, თუ გამგეობა მიაყრუებს ამ კაცის მიერ უდიერად ხმარებულ სიტყვებს, მკითხველები მით უფრო ადვილად დარწმუნდებიან ნათქვამის სინამდვილეში. საჭიროა, ბ-ნი თამამშევი პასუხის გებაში იქმნეს მიცემული.

ხმ. თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. საკმარისიც იქმნება, თუ საბჭო დაადგენს, რომ ბ-ნმა თამამშევმა უადგილოდ იხმარა თავის გაზეთში მოყვანილი სიტყვები გამგეობის შესახებ.

თავმჯდომარემ განუმარტა საბჭოს, რომ ამ საგანზე დღეს არავითარი დადგენილება არ შეუძლია მოახდინოს საბჭომ.

საბჭომ მოითხოვა გამგეობამ შემდეგ კრებისათვის მოახსენოს საბჭოს ამ საგნის შესახებ.

კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის შემცირების შესახებ სავალდებულო დადგენილებანი საბოლოოდ დაამტკიცა საბჭომ. ამას იქით მხოლოდ შუა დღის შემდეგ შეიძლება კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობა, მხოლოდ იქ, სადაც მარტო მაგარ სასმელებსა ჰყიდიან, ვაჭრობა ნაშუადღევის ოთხ-საათიდან უნდა დაიწყონ.

მუშტაიდის ბაღიდან გასავალში, მარჯვნივ ფ. ვეტცელს კარგა მოზრდილი ნაჭერი მიწა აქვს დიდუბეში. ამ მიწას ელისავეტინსკი ქუჩიდან ყრუ-ქუჩა აქვს მოწოლილი. ეხლა ვეტცელს უთხოვნია ქალაქისათვის: ნება მომეცით ეს ყრუ ქუჩა დიდუბის ქუჩამდე მივიყვანოო და ელისავეტინსკი და დიდუბის ქუჩა შევაერთოო. რაც ამ მანძილზე ახალი ქუჩა ადგილს დაიჭერს, სულ 522 ოთხ-კუთხ საჟენს, ქალაქს უფასოდ დავუთმობო.

საბჭომ დაადგინა: ფ. ვეტცელს ნება მიეცეს თავის ადგილზე ქუჩა გაიყვანოს იმ პირობით-კი, რომ ქუჩა სიგანით ექვს საჟენზე ნაკლები არ იყოს და მანამდე არ გაიხსნას, სანამ თვითონ ვეტცელმა არ მოჰკირწლოს.

ასეთივე სათხოვარი იყო შემდეგიც—ვინმე ავაქიანცისა—რომელსაც ვერაზე, ზემო ნაწილში მიწები აქვს. ამას ისე განუზრახავს თავის მიწების დაჭრა, რომ სამი ქუჩა უნდა გაიყვანოს. ამასაც იმ პირობით დართო საბჭომ ქუჩების გაყვანის ნება, როგორც ბ-ნ ვეტცელს.

სხვა საქმეები იმდენად საყურადღებონი არ ყოფილან.

თეატრი

იალტა. 5 თებერვალს, სცენის მოყვარეთ თავ. ი. მიქელაძის გამგეობით წარმოადგინეს რუსულ ენაზე ა. სუმბათაშვილის „ღალატი“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ნიკიტის სასწავლებლის ქართველ მოწაფეებმა. საზოგადოთ წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. კარგათ ითამაშეს; ქ-ნმა მაროზოვამ ზეინაბის როლში, ბ-ნმა მიკლაშევსკიმ სულეიმანის როლში და თავ. ი. მიქელაძემ დათოს როლში. კარგად შეასრულეს აგრეთვე ბ-ნმა პრეობრაჟენსკიმ ანანიას როლი და პეტროვსკიმ—ოთარ ბეგის როლი. ცოტა სუსტათ ითამაშა ბესომ, მაგრამ საზოგადოება მაინც კმაყოფილი დარჩა. სცენა რიგიანად იყო მოწყობილი. საზოგადოება იმდენად ბევრი დაესწრო, რომ თავისუფალი ადგილი აღარ იყო.

შ. უცხოელი

სასამართლო

I

დღეს, 18 თებერვლისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე რკინის გზის სადგურ მიხაილოვის სახელოსნოების მუშების გიორგი კვესაძისა, ივანე ლაბაძისა, ვლადიმერ ხოზზეროვისა, სერგო არუთინოვისა, მესობლიშვილისა, ჩახოიანცისა და სხვათა, რომელთაც შეთანხმებით და წინასწარ განზრახვით არეულობა-უწესოებაში მონაწილეობის მიღება და მთავრობის მოხელეთათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებათ. მუშებს იცავენ ვექილები თავ. ანდრონიკოვი, სომენტოვსკი, ელიავა, თავ. ბარათაშვილი და სხვანი.

II

ხვალ, 19 თებერვლისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ქალაქ სიღნაღის მცხოვრების ნარცისა და ავქსენტი ბროვინსკებისა, რომელთაც ნაშვილებ შვილის ცემა და ტანჯვა ჰბრალდებათ. ამავე დღეს პალატა განიხილავს საქმეს ვლადიმერ ანდრონიკაშვილისას, რომელსაც მოხელესათვის შეურაცხების მიყენება ჰბრალდება.

III

ვაჭრის ერვიეს მოკვლასა და გაძარცვის საქმეში ბრალი დაედვა სენაკის მაზრის მცხოვრებს სამსონ დანელიას, რომელიც ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო და რომელსაც გადაუწყვიტა ყოველისავე ღირსებათა ჩამორთმევა და კატორგაში 8 წლით გაგზავნა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი. პალატის განაჩენზე საჩივარი გადაიტანა სენატში დანელიას ვექილმა ოპოჩინინმა. სენატმა გააუქმა პალატის გადაწყვეტილება და დაავალა ხელმეორედ ამ საქმის გარჩევა. პალატა ამ საქმეს განიხილავს 28 თებერვალს.

IV

16 თებერვალს გორში დაიწყო სხდომები ტფილისის ოქლის სასამართლოს სესიისა ბ-ნ შაიგურის თავმჯდომარეობით. სესიის სხდომები გასტანს 26 თებერვლამდე. სხვათა შორის, სასამართლო განიხილავს ერთს საყურადღებო საქმეს. პასუხის გებაში მიცემულია გორის მაზრის მცხოვრები დიასამიძე, რომელსაც ჰბრალდება დიდის მთავრის მამულში მყოფ სკოლის მასწავლებლის მოკვლა.

V

ადგილობრივ რუსულ გაზეთებს ატყობინებენ ქუთაისიდან, რომ 14 თებერვალს იქ სამხედრო სასამართლომ დაასრულა თავ. ილია დადიანის მკვლელთა, სერაფიონ და ნესტორ კვარაცხელიებისა და ანტონ ლატარიას, საქმის გარჩევა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ისინი და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 თებერვალი

თავრიზი. ხმა დადის, ვითომ ინგლისი ასის წლით იღებს სპარსეთის სამინერალო სიმდიდრეების ექსპლოატაციას.

სევასტოპოლი. 15 თებერვალს სწრაფ მატარებლით კრონშტადტს წავიდა ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი, რომელიც ბალტიის ზღვის ფლოტის მე-2 დივიზიის უფროსად დანიშნა.

ლონდონი. 1904 და 1905 წლ. სამხედრო ხარჯთაღრიცხვა გამოანგარიშებულია 28.900.000 გირვ. სტერლინგი, ე. ი. შარშანდელთან შედარებით 5.600.000 გირ. სტ. ნაკლები. განზრახულია არტილერიის სრული გადაკეთება 1907 წელს გაათავონ; უფრო მეტი ყურადღება ინდოეთის ჯარს მიექცევა.

პარიზი. ლუბეს რომში მოსვლის დღედ ოფიციალურად 11 აპრილია დანიშნული.

ვენა. იმპერიის მინისტრთა კრებამ გადასწყვიტა, მარტის დამდეგს (ახალის სტილით) მოიწვიოს სადამოჟნო კონფერენცია, რომელმაც უნდა გადააკეთოს არსებული სავაჭრო ხელ-შეკრულება.

17 თებერვალი

პეტერბურგი. 16 თებერვალს გარდაიცვალა სამხედრო მინისტრად ნამყოფი, გენერალ-ადიუტანტი ვანნოვსკი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

озв. ценз. Тифлисъ 17 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.